Memorial Sloan Kettering Cancer Center

პაციენტის და მომვლელის სწავლება

ღვიძლის არტერიის საინფუზიო ტუმბოს შესახებ

მოცემული ინფორმაცია აღწერს Intera 3000 ღვიძლის არტერიის საინფუზიო ტუმბოს (ადრე მას ეწოდებოდა Codman), თუ როგორ მუშაობს იგი, როგორ არის განთავსებული, როგორ ხდება მისი შევსება და იძლევა აქტივობის მითითებებს.

Intera 3000 ტუმბოს შესახებ

თქვენს მედიკამენტს Intera 3000 ღვიძლის არტერიის ტუმბოს საშუალებით მიიღებთ. ღვიძლის არტერიის ტუმბო არის პატარა, მრგვალი მოწყობილობა, რომელიც დამზადებულია ტიტანის ლითონისგან. მისი სიგანე დაახლოებით 2-3 დუიმია, სისქე დაახლოებით 1 დუიმი და იწონის დაახლოებით 4 უნციას. ის დაახლოებით ჰოკეის შაიბის ზომისაა.

ღვიძლის არტერიის ტუმბოს აქვს 4 ძირითადი ნაწილი (იხ. სურათი 1).



სურათი 1. ტუმბოს ნაწილები

- **სეპტუმი** არის აწეული ადგილი ტუმბოს ცენტრში. მედიკამენტი ტუმბოში სეპტუმის მეშვეობით შევა.
- მედიკამენტები ჩადის **შიდა პარკუჭში**.
- **გარე პარკუჭში** მოთავსებულია სითხე, რომელსაც პროპელანტი ეწოდება.
- **კათეტერი** არის პატარა, მოქნილი მილი. იგი ტუმბოს ღვიძლის არტერიასთან (მთავარი სისხლძარღვი, რომელიც შედის ღვიძლში) აკავშირებს.

ღვიძლის არტერიის ტუმბოს ჩაგიდგამენ (ქირურგიულად) მუცელში, ღვიძლთან ახლოს (იხ. სურათი 2). თქვენი სხეულის მიერ პროპელანტის გათბობა გამოიწვევს მედიკამენტის გადინებას შიდა კამერიდან, კათეტერის მეშვეობით და მის პირდაპირ ღვიძლში ჩადინებას, ღვიძლის არტერიის მეშვეობით.



სურათი 2. სად განთავსდება თქვენი ტუმბო

მედიკამენტი, ღვიძლის არტერიის ტუმბოს მეშვეობით, შეიძლება შეყვანილ იქნას 2 გზით:

- მედიკამენტი შეიძლება შეყვანილ იქნას ერთი და იგივე სიხშირით. იგი, როგორც წესი, შეიყვანება ასე.
- მედიკამენტის მიღება შესაძლებელია ერთჯერადი ინექციით (ნემსით), რომელსაც ეწოდება ბოლუსი. ბოლუსის მეთოდით, მედიკამენტი არ ინახება თქვენი ტუმბოს შიდა პარკუჭში.

როგორ ხდება ტუმბოს იმპლანტაცია

თქვენ გაგიკეთდებათ ღვიძლის არტერიის ტუმბოს იმპლანტაციის ოპერაცია. თქვენი ექთანი მოგაწვდით დამატებით ინფორმაციას ოპერაციის შესახებ და გეტყვით, თუ როგორ მოემზადოთ მისთვის.

ოპერაციის დაწყებამდე გაგიკეთებენ ზოგად ანესთეზიას (წამალს, რომელიც დაგაძინებთ). როდესაც დაიძინებთ, ჯანდაცვის პროვაიდერი გააკეთებს მცირე ჭრილობას (ქირურგიულ ჭრილობას) მუცლის ქვედა ნაწილში. გააკეთებენ ღრუს კანსა და კუნთს შორის და ამ ღრუში განათავსებენ ღვიძლის არტერიის ტუმბოს. შემდეგ ტუმბოს კათეტერს ღვიძლის არტერიაში მოათავსებენ.

ოპერაციას დაახლოებით 1½-დან 2 საათამდე დასჭირდება. თუ სხვა პროცედურებსაც იკეთებთ, შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს. ოპერაციის შემდეგ, საავადმყოფოში 1-დან-3 დღემდე დარჩებით, თუ თქვენი ჯანდაცვის პროვაიდერი სხვაგვარად არ გეტყვით.

ექიმი ან სტაციონარული ექთანი მოგცემთ საიდენტიფიკაციო ბარათს, რომელშიც ნათქვამია, რომ გაქვთ იმპლანტირებული მოწყობილობა. **ეს ბარათი უნდა ატაროთ ყოველთვის, სანამ ტუმბო გაქვთ, როგორც საავადმყოფოში, ასევე სახლში.**

მიმოქცევის სკანირების შესახებ

სანამ ღვიძლის არტერიის ტუმბოს გამოყენებას დაიწყებთ, ჩაგიტარდებათ პროცედურა, რომელსაც ეწოდება მიმოქცევის სკანირება, რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენი ტუმბო სწორად მუშაობს. მიმოქცევის სკანირება მოხდება ტუმბოს იმპლანტაციის შემდეგ, საავადმყოფოში ყოფნის განმავლობაში. ექთანი მოგაწვდით დამატებით ინფორმაციას ამ პროცედურის შესახებ, მის დაწყებამდე.

მიმოქცევის სკანირების შემდეგ, ექთანი ტუმბოს მედიკამენტით შეავსებს. ექთანი მოგაწვდით ინფორმაციას თქვენი მედიკამენტისა და მისი შესაძლო გვერდითი ეფექტების შესახებ.

ტუმბოს ჩადგმის შემდეგ თქვენ გექნებათ კუჭის წყლულების (კუჭის ლორწოვანი გარსის წყლულების) უფრო მაღალი რისკი. ამის მიზეზია კათეტერი რომელიც კუჭთან ახლოს არის და შეუძლია მისი გაღიზიანება. ექთანი მოგცემთ მედიკამენტებს მკურნალობის დროს, რათა თავიდან აიცილოთ ეს პრობლემა.

აქტივობის მითითებები სანამ ტუმბო გაქვთ

ჩვეულებრივ, ღვიძლის არტერიის ტუმბოს განთავსების ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელებას დაახლოებით 4 კვირა სჭირდება. გამოჯანმრთელების შემდეგ, შეგიძლიათ დაუბრუნდეთ თქვენი ჩვეული საქმიანობის უმეტესობას. მაგრამ არის გარკვეული აქტივობები, რომლებსაც უნდა ერიდოთ. მიჰყევით ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებს. ესაუბრეთ თქვენს

ჯანდაცვის პროვაიდერს, თუ გაქვთ რაიმე კითხვა.

- მოერიდეთ უხეშ ფიზიკურ აქტივობებს (როგორიცაა, მაგალითად, კონტაქტური სპორტი). მათ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ თქვენს ტუმბოს.
- მოერიდეთ 10 ფუტზე (4,5 კილოგრამზე) მძიმე საგნების აწევას. ამან შეიძლება თქვენი ტუმბოს გადაადგილება გამოიწვიოს.
- მოერიდეთ მძიმე ვარჯიშს (როგორიცაა, მაგალითად, სირბილი ან ძუნძული). ამან შეიძლება კათეტერის გადაადგილება გამოიწვიოს.
- თვითმფრინავით მგზავრობამდე მიმართეთ თქვენს ჯანდაცვის პროვაიდერს. სალონში წნევის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს წამლის უფრო სწრაფი მიმოქცევა.
- მოერიდეთ ღრმა ზღვას ან აკვალანგით ყვინთვას. ცურვა ან სნორკელინგი შეგიძლიათ.
- მოერიდეთ აქტივობებს, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს სხეულის ტემპერატურა. მათ შეუძლიათ მედიკამენტების უფრო სწრაფად მიმოქცევის გამოწვევა. არ:
    - დაიდოთ გასათბობი ბალიშები, ელექტრო საბნები ან ცხელი წყლის ბოთლები პირდაპირ ტუმბოს ადგილზე.
    - წახვიდეთ საუნაში ან ჩაწვეთ ცხელ აბაზანაში.

ტუმბოს შევსება

ღვიძლის არტერიის ტუმბო მხოლოდ 14 დღის (2 კვირის) საკმარის მედიკამენტს იტევს. ის უნდა შეივსოს მე-14 დღეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მიხვიდეთ ტუმბოს შევსების ყველა შეხვედრაზე. თუ მას რეგულარულად არ შეავსებთ, ტუმბო შეიძლება გამოშრეს. ამ შემთხვევაში იგი თრომბებით დაიბლოკება და დაზიანდება.

- დაურეკეთ თქვენს ჯანდაცვის პროვაიდერს, თუ ვერ მიდიხართ შევსების შეხვედრაზე.
- უთხარით ჯანდაცვის პროვაიდერს, თუ აპირებთ ქალაქგარეთ გასვლას ნებისმიერ დროს, სანამ ტუმბოს ატარებთ.

ტუმბოს შესავსებად შეგიძლიათ მიხვიდეთ MSK-ში ან ეწვიოთ თქვენს ადგილობრივ პროვაიდერს.

როცა მედიკამენტს არ იღებთ, ტუმბო ივსება გლიცერინით. გლიცერინი არის სქელი ხსნარი, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ გასტანოთ 6 კვირა ტუმბოს შევსების გარეშე.

როგორ ივსება ტუმბო

ღვიძლის არტერიის ტუმბოს შევსების პროცედურას 10-დან 15 წუთამდე დასჭირდება.

პირველ რიგში, ექთანი გაგიწმენდთ კანს, რომელიც ფარავს ტუმბოს. შემდეგ სეპტუმში, კანის გავლით, ჩაუშვებს თხელ მილზე მიმაგრებულ ნემსს (იხ. სურათი 3). ნემსის ჩხვლეტა შეიძლება არასასიამოვნო იყოს.



სურათი 3. ნემსი, მილი და შპრიცი

ექთანი გამოიყენებს შპრიცს, ტუმბოში დარჩენილი მედიკამენტის ამოსაღებად და გასაზომად. ეს არ იქნება არასასიამოვნო. როგორც კი ტუმბო დაცარიელდება, ექთანი ტუმბოს მედიკამენტებით შეავსებს. თქვენ არ გექნებათ რაიმე დისკომფორტი წამლის შევსებისას.

დაურეკეთ თქვენს ჯანდაცვის პროვაიდერს, თუ:

- გაქვთ სიცხე 100,4 °F (38 °C) ან უფრო მაღალი.

- გაქვთ ინფექციის რაიმე ნიშანი ტუმბოს ადგილზე, როგორიცაა მაგალითად, გაზრდილი მგრძნობელობა, გამონაჟონი ან სიწითლე.
- გაქვთ შეშუპება ტუმბოს ადგილზე.
- გეგმავთ თვითმფრინავით მგზავრობას.
- აპირებთ დაგეგმილი შევსების შეხვედრის გამოტოვებას.
- გაქვთ მუქი ფერის შარდი ან სიყვითლე (თვალების ან კანის გაყვითლება).
- გაქვთ რაიმე აუხსნელი ან უჩვეულო რეაქცია.

If you have questions or concerns, contact your healthcare provider. A member of your care team will answer Monday through Friday from 9 a.m. to 5 p.m. Outside those hours, you can leave a message or talk with another MSK provider. There is always a doctor or nurse on call. If you're not sure how to reach your healthcare provider, call 212-639-2000.

დამატებითი რესურსებისთვის ეწვიეთ www.mskcc.org/pe ჩვენი ვირტუალური ბიბლიოთეკის მოსაძიებლად.

ყველა უფლება ეკუთვნის და დაცულია Memorial Sloan Kettering Cancer Center-ის მიერ